

№ 22. თბილისი, 1941 წ. კვირა, 28 სექტემბერი. გამოცემის წელი XVIII. გამოცემის ფორმა „კომუნისტი“. ფასი 50 კაპ.



ნახ. მ. ვადოლასკისა

## მოდის ზამთარი

მოდის ზამთარი, თოვლიანი—ყინვით და თოვით,  
დგება სუსხიან ქარიშხალთა მძიმე ამინდი  
და უჩაღურად შემოჭრილ მტერს, ჩვენს სამშობლოში,  
სული ეხუთვის, ეფინება სიკვდილის ბინდი.

გავა ზამთარი, გაზაფხული კვლავ მორთავს მთაბარს,  
ჩვენ გაგვახარებს ყვავილნარი — ნამდამცვრელი, —  
რადგან მტერს მოვსპობთ, გაცოფებულს, ბილწსა და საზარს, —  
და ჩვენის ხელით აღიგება ნაცრად ქცეული.



— ნეტავ რად აჭიანურებდნენ ჩვენი მთავრობის მესვეურები თავის დადგენილების განხორციელებას, ჰიტლერის აგენტების ირანიდან გაძევების შესახებ?

— ალბათ თუ ელოდებოდნენ ჰიტლერის ირანელ დამქაშების გაძევებას, რომ გამგზავრებულიყვნენ თავიანთ „სტუმრებიანად“.

## ო ი ნ ი

ფრონტიდან მეგობრის წერილი მივიღე. მოკითხვა, სალამ-ქალამის შემდეგ, რამოდენიმე ეპიზოდს ამიწერს — იმ ბრძოლისას, თვითონ რომ მონაწილეობა მიუღია. სოფელ №-თან პარტიზანულ ბრძოლაშიც ყოფილა ჩაბმული, შემდეგ იქიდან მტრები რომ განუდევნიათ, ჩემი მეგობარი დასასვენებლად გაუგზავნიათ ზურგის ერთ-ერთ ქალაქში. იქ გავხსენებთ და ვრცელი ეპისტოლეით გამოუმგზავნა.

იცოცხლე, ფარსადან, — მწერს ფრონტზე მყოფი მეგობარი, — ახლა მყუდროებაზე ფიქრის დრო აღარ არის, სამამულო ომი სხვა მოთხოვნილებას უყენებს ყველა მოქალაქეს მარტო აქ, ფრონტზე კი არა, მანდაც, კაბინეტშიც. ქარხანაშიც, კოლმეურნეობაშიც. რაღა თქმა უნდა, იცი.

ისიც გასაგები იქნება შენთვის, თუ როგორი თავგანწირვით ვიბრძვით აქ ჩვენ, ყველანი. ამ ამბების აწერა ჩემთვის ძნელია, მაგრამ ის კი მინდა გაცნობო, თუ როგორ დავსცხეთ ნაციისტ ყაჩაღებს №-თან. აქ ჩვენს ნაწილს მოუხდა პარტიზანულ ნაწილებთან ერთად ბრძოლა, როცა ფაშისტებმა ეს სოფელი დროებით დაიკავეს, ჩვენი მთავარი ნაწილები ახალ პოზიციებზე გადავიდნენ. ჩვენი განკარგულება იქ აღარაა, რომ ადგილობრივი მოლაშქრეებისათვის დახმარება გავწიო.

შემოვიდნენ ის ყაჩაღები და პირველ რიგში გასაძარცვად დაერივნენ სახლებს.

— „ნიხტი, ნიხტი!“ — გაბოროტებით ღრუტუნებდნენ ისინი.

„ნიხტი“ — გერმანულად — არ არისო, ნიშნავს. ესე იგი, გასაძარცვავი აღარაფერი დახვდათ. მოსახლეობამ ყველაფერი გაიტანა, რაც ვერ წაიღო — დასწვა. მშვიერი ფაშისტები მოედვეს საწყობებს, ბეღლებს, გადარჩენილ სახლებს. — არაფერი გამოუვიდათ. ჩვენ ტყისპირად ვიყავით ჩასაფრებულნი. ველოდით მათს შემოტყუებას — ტყეში.

— ამ დროს ჩემთან მოდის ჩვენი საერთო ნაცნობი და მეგობარი გივი ბარელი. თბილისელი ბიჭია, სომ იცი, ძალიან გონებაშავი და თანაც ოინაზი. მოდის და მეუბნება:

— გოგი, მოდი, მაგათ ერთი ოინი ვუყუთ.

— რა ოინი? — ვეკითხები მე.

— მოდი, ქათმურად დავვლამარაკები და შემოვიტყუებ.

— როგორ თუ ქათმურად?

— აი ასე...

გივიმ ჩაშტერა მის მიერ თიხისაგან დამზადებულ პატარა სალამურს და ისე

აკრიხდა, რომ ქათმის კრიახისაგან ვერ გაარჩევდი. პარტიზანებმა გაიცინეს.

— მაშ ახლა ესეც ვცადოთ, — განაგრძო გივიმ და ახალი საკრავით ძროხას გააჯავრა. სიცილი და დაინტერესება უფრო გაიზარდა.

— თუნდაც ასე იყო, — დასძინა გივიმ და ახლა სხვა ინსტრუმენტით გოჭის ჭყვილი გამოსცა. საუცხოვოდ ჰბაძავდა ის შინაურ ფრინველებსა და ცხოველებს. ჩვენ ვიცინოდით.

— მე ამ სალამურებით ფაშისტების რაზმს აქ შემოვიტყუებ, ოღონდ თქვენც უნდა მომეშველოთ, აი ასე უნდა დაადო თითები და ჩაშტერო. აბა ჩაშტერე — მომმართა მან. ჩაებრე და თვითონაც მომეწონა. ასე გაგვამოგზავნა გივიმ რამოდენიმე ახალგაზრდას და როცა ყველამ ერთად ჩაებრეთ მის თიხის სალამურებს, მივიღეთ გათენების ხანს სოფლის ხმაურობის სრული მსგავსება.

— არის, აქეთ მოდიან, — გადმოგვცა მეთვალთვალემ.

გაიცა განკარგულება, ჩავსაფრდით და შესადარი პოზიცია დავიკავეთ. იქ კი, სოფელში, ქვემეხებთან და ტანკებთან დაბანაკებული მათი ნაწილი — ნაძარცვის მოლოდინში გაუჩნებულყოფი. ჩვენი რაზმი ორად გაიყო, — მთავარი ძალები სოფლისაკენ გაემართნენ და ალყა შემოარტყეს ფაშისტების ბანაკს და როცა ტყეში შემოჭრილი მძარცველები მოხერხებულ ალაგას შევიტყუეთ, სოფელში მათ ბანაკს უკვე დასცხეს ჩვენებმა.

მაშინ ჩვენი სალამურების ორკესტრი შევცვალეთ — ტყვიამფრქვევ-ხელუშ-ბარების ორკესტრით და შემდეგ ხიშტებითაც დავერიეთ. ამ დროს სოფელ №-დან გვესმოდა ჩვენების მძლავრი „ურა“. ეს იმას ნიშნავდა, რომ ფაშისტების ბანაკი იქ, უკვე ჩვენების ხელში იყო. ჩვენს ხელში იყვნენ თვით ტყეში შემოსული ფაშისტებიც. და როცა უკვე რკალი შემოვარტყით და მათი დიდი ნაწილი გავანადგურეთ, მათ იარაღი დაჰყარეს, ხელები ასწიეს და მათმა უფროსმა დაგვიძახა:

— ნიხტი, ნიხტიო.

— მიხვდი, მიხვდი, შე არამზადავ, რომ თქვენი აღსასრული მოახლოვდა, მტვრად გაქცევთ საბჭოთა ქვეყნის რისხვაო — მივაძახეთ ჩვენ და ტყვეები გავუყენეთ უკვე განთავისუფლებულ №-ს გზას, სადაც ჩვენები ითვლიდნენ ფაშისტის ტყვეების რიცხვსა და ნადავლს.

ასეთი იყო ჩვენი ბრძოლის ერთი ეპიზოდი. დანარჩენს შემდეგ წერილში მოგწერ. შენი გივი“.

ფარსადან



— ხომ კარგი ნაკეთებია? ამ წინადაგსა და ხელთათმანებს ჩემს ვაჟს ვუგზავნი ფრონტზე.  
— აკი გუშინ ამბობდი წერილი დამიგვიანდა და მისი ახალი მისამართი არ ვიცო?  
— მართალია, მაგრამ წითელი არმაისათვის თბილისი ტანსაცმელების შემგროვებელ  
კომისიაში მიმაქვს და ვიცი, ჩემს ვაჟს მიუვა, ან ეს, ან სხვისი დედის დამზადებული.

## ასკროზანგოიანი არქიფო

თბილისის ზოგიერთი წარმოების  
ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ვერ  
გარდაქმნეს მუშაობა. ისინი კმაყოფილ-  
დებიან ტრადიციულ ნორმებით და საკ-  
მაო ანგარიშს არ უწევენ საომარ  
მდგომარეობას.

ნინაგის ბლოკნოტიდან

არქიფო კაჭკაჭიშვილი  
რათ მისცემია ფიქრებსა?  
მისი თვალელები სევდას გვფენს,  
თითქოს ცა ღრუბლებს იკრეფსა.  
„რა დავაშავე ნეტავი?  
ახეთი რა ჩავიდინე?  
სწორი გზისაკენ სავალი  
რატომ ჩამიტყდა ხიდი მე?  
მე საწარმოოს მმართველი  
მუდამ ვიყავი ქებულის,  
ჩემზე ამბობდნენ, შეხედეთ,  
მუშაობს თავდადებული.  
ასპროცენტისან მეძახდნენ  
ჟველანი, ზედმეტ სახელად,  
ექსპურსანტები მოსულან  
ჩემი საწარმოს მნახველად.  
ახლა კი, თითქოს არ მქონდეს  
დამსახურება არც ერთი  
არ მოსწონთ, რომ კვლავ ვასრულებ  
მე გეგმას ასი პროცენტით.“  
წინად გაზეთში ნაქებ კაცს  
ეს რა ოინი მიყვებო,  
ორასოცანებს აქებენ  
და მე კი დამივიწყესო.  
ასე წუწუნებს არქიფო  
კაჭკაჭიშვილი ცნობილი,  
ომამდე „დაუთოვებულ  
კოსტუმში“ გამოწყობილი.

სანდრო

## მოდოლინი

„გერმანელების სამხედრო შტაბმა პრალის  
და ვენის ქარხნებს დაუკვეთა თხილამურები“.

„ფიურერს“ მოსკოვზე  
შეტევის მწყურვალეს,  
იმედს აღუთქვამდა  
ზაფხული მხურვალე,  
მაგრამ ეზარალა,  
ბედმა გააცურა,  
და მკერდმწრალ ველზეც კი  
ფეხი დააცურა.

გაუცვდა სისხლისმსმელს  
ფანდები ნახმარი.  
მაგრამ მაინც არ სურს  
დაჰყაროს ფარხმალი.  
ზაფხულში არ კმარა  
რა ბედის მღურებას,  
ზამთარშიც მოვლის  
თოვლზე გაცურება.

მ—ზა

## ანდოზები

კაბდოზ იცის სამართალი  
მაღალ დაბალს გაასწორებს  
ენას კბილი დაჭირე  
ნუ აწყვეთი ქვეყნის ჭორებს.

თუ გულუხვობს მასპინძელი  
სუფრას დვიზის მოუმატებს  
თუ დააკლდა ფაშისტს ხორცი  
არ იწუნებს შემწვარ კატებს.

თამაშობას ხერხი უნდა  
დათვალოს იცის ძუნძულიო,  
შიტლერს ყელში გაეჩხირა  
ბრიტანეთის კუნძულიო.

ოპროსქედელი

## „ვიგლარის საქმისათვის“...

გერმანიის სარდლობამ მობილიზაციის წესით გაიწვია საფლავების სათბრე-  
ლად ყველა, ვისაც ნიჩბის ხმარების უნარი ჰქონდა.

გაზეთებიდან

მოგროვილი ხალხის უმეტესობა კიდურებმოჭრილ-მოტეხილი აღმოჩნდა.  
— სულ თქვენა ხართ?—იკითხა თავმოტვლებილმა ოფიცერმა.  
— აბა, ვისაც თხრა შეეძლო ხომ ფრონტზე მიარეკეთ... იყო პასუხი.  
— არა უშავს. ცალფენიანებს მოეხმარება ცალხელიანები და როგორც ერთი  
კაცი, ისე იმუშავენ. ხოლო ვისაც ორივე ხელი, ან ორივე ფეხი არა აქვს,  
ყველა თავისუფლები ხართ! ეს კი გახსოვდეთ, რომ ყველანი შრომობთ ესე  
იგი საფლავს ამზადებთ შიტლერის საქმის საჭიროებისათვის!  
— გვეხმის... ვიცით...  
უფროსების შეკითხვაზე: „ვისთვის შრომობთ?“—პასუხი იყო: „შიტლერის  
საქმისათვის“.  
— ვიცით... ვიცით...  
— აბა, სამუშაოზე! გასცა ბრძანება.  
ხალხი აფუსფუსდა უშედეგოდ.  
— ამდენ დაჭრილ-დაზოცილებს ეს ზეგემკვდრები ორ თვეს ვერ დამარხა-  
ვენ, ამიტომ თქვენ, მესანგრენო, ნაღმებით ააფეთქეთ მიწა საფლავისათვის!—  
გასცა ახალი ბრძანება თავმოტვლებილმა.  
აფეთქების ხმა გაისმა.  
ოფიცერი ინვალიდებს მიუბრუნდა.  
— თქვენ, ჰეი, მკვდრებო, ვისთვის ამზადებთ საფლავს? ვისი საქმისათვის?..  
— შიტლერისათვის... შიტლერის საქმისათვის... გაისმა ხმა.  
თავმოტვლებილი არიელი პამიდორივით გაწითლდა. გველივით წვრილი  
თვალეები გაუსისხლიანდა და მესაფლავეებს მხოლოდ ბრაზმორევით განუმერა.  
— აბა, მარჯვედ გათხარეთ, საფლავი.

კლავიონი ზუმბაკი

ფინური მარკის კურსი დაეცა. ერთი თავი კომბოსტო 12 მარკა ღირს. კილოგრამი კარტოფილი — 6 მარკა.

A political cartoon on aged paper. Two men in military uniforms are seated on a bench, smoking pipes. Above them is a sign that reads "HOTEL" and "SHCHEGOLEV". In the background, a soldier stands near a lamp post, and a large glass sits on the ground. The cartoon is signed "G. B. Shchegolev" in the upper right corner.

„არავითარი აზრი არა აქვს წვრილმან ხიცრუეს. ისე დიდი მოცულობით უნდა იცრუო, რომ მხენელებმა ვერასოდეს ვერ გახედონ მისი წარმოდგენა, თითქმის მისი გამოვლინება შიშილია“

ერებელ მოსწონს ნარკვეთნა, გაოტყრა თავის ბაშლი: რაკი ჩვენს ჭილაებებს აზივნ იღებს აირწუნს. რაკი მრევლს სასაცილოდ იღებს ჩვენს ნამაზვარს, მოდი აჩქალს მოციგერებს: ტურღელ ვერტყე ისე მაგარს, მაღ ვინაჲსი გაიკოტრეს გაოტყრს, გაბარგოს, მტყვენოს ის სიშიროლები, მან ჭეჟენა ვაყარვოს. ჭეჟენაბურღი ტყუარვალს, ცემა ძალა რაკობს ხარვოს, ზოგნიველები მცხარ ტყუილს, ჭემა ვანჩახებსა გაუმზარავს. და ტურღელი მოიგონს: გამიგედა შრავ ვაზრე და ვაშელთაა ვასიანინებნა მს უფროლად მოითო ასე:

«...არჩილ: ფლავს ატიგებენ! ფლავი: ფლავი როგდებარ, ზოგაშერთი ჭკარა, თორემ შემდეგ ღარი იქნება!»  
 პართლავი გვიან მოვალ სიტყვას: ხალხი იღვწის დაეშურა და სიკვდილა სწრაფად ფლავის მისაღებად გაეშურა.  
 რამე შეხება ხალხის ქვეყნს ახსენებენმა გაიჭირეს; დაიწყება თავის ქვეყნა და თვითონად დაეჭირა  
 რამე ფლავს პართლა ატიგებდნენ, კოვხს წაღელი ხელი  
 და თვითონაც რბენით ფლავის მისაღებად გაეშურა.

[illegible]

გაშესტურ გერმანიაში ხალხს ენატრება ბუნებრივი საკმელები  
შეიძლება შემცველი სუროგატებით იკვებება.  
გაწეიებიდან

გერმანიის არმიამ ყველა საშუალება უნდა გამოიყენოს თბილისის ტანისამოსის საშოვნელად.

ფაშისტური სარდლობის წარმომადგენელი ბრძანებდა:

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՄԵՐՈՒՄՆԵՐ

— „გიხაროდეთ არიელნო,  
ნაწამებნო სიმშლითა!

შე მივდივარ სათარეშოდ,  
ბანდიტების მიშუაფს ჯვარი,  
რომ დავლაშქრო საბჭოეთი  
სადაც ბევრი პური არი.

სადაც არის ბევრი შაშხი,  
ბევრი ერბო, ბევრი ქონი!“.   
დამშეულებს სიხარულით  
დაკარგათ სულ მთლად გონი

და ზებეღისმაც რადიოთი  
გაუხვრიტა ყველას ყური:  
— „შემცვლილები ნაცვლად მალე  
თქვენ გექნებათ ნამდვილ პური,

მაგრამ დღენი გადიოდნენ,  
თვესაც თვლიან აწ მესამეს, —  
ფაშისტებმა პურის ნაცვლად  
სახეოეთის ტყვია სჭამეს.

იშედები გაუცრუვდით  
მოტრაბაზე ვერაჲ მიედრებს,  
ველარ იტევს შთა და ველი  
ხვასტიკიან იმათ ცხედრებს.

დღეს ფიურერს თვით აბრაზებს  
უშნო ჯორა ჭებელისა,  
სიციხიდან დორბლებსა ჟურის,  
აღრქიალებს კბილებს ისა.

აწ ბერლინის შეპირებულ  
პურს და ერბოს აღარ ელის, —  
იმედები დაიწურა,  
მე უნელდება არიელის.

გ. ჟიბიძე



## სასიხარულო სიზმარი

- სიზმარში ვნახე, ფრაუ ამალია, რომ თევზმა გადაარჩინა გერმანია შიმშილისაგან.
- ნუ თუ ამდენი თევზი შემოწოდეს?
- არა, შიტლერი დაახრჩო თევზის ძვალმა.

## კეისრობის მოგლოდინა

მას ყბა ბეგემოტს მიუგავს, თუმცა ბუნება ტურისა აქვს.

თავიდანვე ცერცეტა, ბოთე, ღენჩი და უგულო იყო. ასეთი დარჩა ბოლომდე.

მოწოდებილი მუტრუკი იყო, როდესაც იტალიიდან გაიპარა, რადგან მამამ ვეღარ გაუძლო მის ყვეფიობას და სახლიდან გააგდო.

შვეიცარიის ესტუმრა.

მაგრამ კაცს შვეიცარიაშიც უნდა ჰქონდა. კიდევ შეტი: შვეიცარიის მთის ჰაერი ერთობ აღვივებს მადას.

მაგრამ მუტრუკს რომ ფული არა აქვს?

არა აქვს და იპარავს. პირველ ხანებში იგი უბრალო რამეებს იპარავდა, შემდეგ კი ერთ მუშას საათი აწაპნა, რისთვისაც კინაღამ ჩასვეს.

ოცი წლის რომ გახდა, პროფესიად დეზერტირობა აირჩია და ბოლომდე შეინარჩუნა და ზედაც ბევრი რამ სამარცხვინო დაუმატა.

იდეის მხრივ მისი პორტრეტი ასეთია: ჯერ იყო სოციალისტი (ისემც ღმერთი უშველის!), შემდეგ რესპუბლიკელი, შემდეგ მონარქისტი.

რომ ჰკითხო, ღმერთი არ სწამს—ათეისტია, წირვა-ლოცვას კი არ აკლდება. ჯერ გულმოდგინედ იცავდა ებრაელებს, შემდეგ კი ნაწილობრივ დახოცა ისინი, ნაწილობრივ ციხეებში ჩაშყარა, სხვები გააპარტახა.

ორატორობდა, მილანში მდიდრულად მორთული გამოდიოდა, პროვინციაში დაკერებული ხალათით მიდიოდა.

იტალიელი ხალხი „ძალიან“, უყვარს, ოღონდ უღეტს მას, ცოცხლად დარჩენილებს კი ტყავს აძრობს კულის რიკამდე.

მან დაარბია აბისინია, დაიპყრო პატარა ალბანეთი, მუსხრი გაავლო სომალიელებს, ათიათასობით არაბები გადასახლა ლიბიის უდაბნოში და სისხლით მორწყო მშვენიერი ესპანეთი...

ახლანდელ ომში მან სახელი გაითქვა, როგორც უცვლელად დამარცხებულმა რომელი ფრონტიც არ გახსნა, ყველგან გაიტენა თავი. და როცა ვერაფერს გახდა, ამ წუნკალმა ტურამ ფართოდ გაუღო კარები ობერ-მგელს.

„ჩვენ ორივენი ბუმბერაზები ვართ: მე—კეისარი,

შენ—მბრძანებელი გერმანეთისა“—კბილის ღრტყლით უთხრა მან ობერ-ბანდიტს.

„ჰაი, ჰაი, რომ აგრესია აბა, ერთი ჩექმა გამიწმინდე!“—მიუგო ობერმა, როდესაც მგელი ხაფანგეთის ალბებში შეიჭრა. ტურამ მძორის ხუნი იგრძნო, თავის ლაშქარს თავი მოუყარა და საზღვრებს მიაღწა, ხალაც ზელად დაჰქარგა ორმოცდაათი ათასი შეომარი.

— ნიცა მინდა, სავოია მინდა, ჯიბუტი მინდა... ჰკიოდა ტურა.

— ჯიბუტს მოგცემ მე შენ თავში!—დაუყვირა მგელმა და პანდური უთავაზა.

მას შემდეგ ეს ტურა, რომლის სახელია ბენიტო მუსოლინი, ყურმოჭრილად ემსახურება ობერ-მგელს, შიტლერს რომელიც თარეშობს ტურის სამფლობელოში, სჭამს ცხვრებს, ხოლო დანარჩენ ალაფს თავის ბუნაგში ჰგზავნის.

ტურა კი ჰყავის.


მას რა ჰქნას?

კეისრობას ელოდა, ტურობა შეინიჭეს...

ალ. ცალქალაშანიძე



— ძალიან შიში კი გადამხდა ამ გერმანელის გულისათვის.  
— მაინც რა მოხდა?  
— მეშინოდა, სანამ ამას დავიჭერ, სამზარეულოში ქაში დამეწვის მეთქი.



— რას ეშინიარ, შე საცოფვე?  
— ჩვენი აღსასრულის დღე დადგა, ბატონო კაპრალი, პარტიზანებმა სურსათის საწყობი ააფეთქეს.

## ინექტარგალი

(ჭუთათური მოთხრობა)

ერთ საღამოს წულუკიძის ბაღში, ზეინისპირად დადგმულ სკამზე ჩამოჯექ და ახალი გაზეთის კითხვას შევუდექი.

ჩემს გვერდით ვილაქ ჩამოჯდა, ნაცნობივით მომესალმა.

მე სალამით ვუპასუხე და კითხვა განვაგრძე:

— „მდინარე რ-თან მტრის მიერ გადმოსხმული საჰაერო დესანტი განადგურებული იქნა ჩვენს მიერ“...

— რამდენი გაგანადგურეთ?— შემაწყვეტინა მან.

— არ ვიცი! მიუღუვე მოკლედ.

— დესანტი!.. დესანტი, ძმაო, მაგარი საქმეა!.. არა, ახლა აქ ოცი შეიარაღებული დივერსანტი რომ ჩამოსხან, რას იზამ, გაიქცევი?— შემივითხა იგი.

— მე სამშობლოს არ გავიქცევი, არც ლაჩარი ვარ. ოც ფაშისტს მარტო შე გავუმასპინძლებდი.

— ყოჩაღ, ძმაო, შენ გმირი ყოფილხარ! აბა მე ზარბაზანი რომ ჩამომცილო, მაინც არ გამოვდგები. სუსტი ვარ, დივერსანტების დანახვაზე გული გამისკდება— შეუზნება, თითქოს გულის ტკივილით.

მალე გავცილდი მას.

შინ რომ მივედი, ფიქრმა წამიღო: ის კაცი რატომ მესაუბრა?.. ვინ იყო? მას ნაცნობი სახე ჰქონდა. ხშირად მინახავს. ვიცი ქუთაისის მკვიდრია, მაგრამ არ იქნა, ვერ მოვიგონე ვინ არის, ან სად მუშაობს...

ფიქრი ტელეფონის წკრიალმა შემაწყვეტინა.

— ალლო!.. დიტო ხარ?.. მომილოცავს. ძმაო, გუჯაკი ყოფილხარ. ხუთმეტი დივერსანტი გაგინადგურებია, როდის გადმოსხეს ბიჭო, იმ ვერაგებმა?

— შენ ვინა ხარ?.. რას ჩამახავ!.. ასეთი ხუმრობა სად გაგონილა!— ვუყვირე გაბრაზებულმა.

— მე, ბიჭო, დომენტი ჩიტირეკია ვარ. დამირეკეს, დღეს დიტომ ხუთმეტი დივერსანტი გაანადგურაო.

ახლა სხვა შეეცილა:

— მტერს ოცდაათი დივერსანტი გადმოუსხამს ჩვენს ქალაქში, შენ შეზმი-ხარ, ოცი გაგინადგურებია, ათი მიმალულა, მართალია?

ტელეფონში დავა ატყდა, ვილაქის ჩემთან დალაპარაკება ეჩქარებოდა.

ახლა სხვა რეკავს:

— მე დომენტი ნაგავად ვარ. ვერ მიცანი? მითხრეს, მტერმა დივერსანტების დესანტი გადმოსხა, მას დიტომ ბრძოლა გაუმართა და სულ გასწყვიტაო. ბედი გქონია ძმაო, ჯილდო გეკუთვნის.

— მომიცლი ვილაქა ხარ!..— ვუყვირე მასაც და ყურმილი დავაგდე.

ყველა ეს ამბავი იმ საღამოსვე მილიციას ვაცნობე.

დილით მილიციის თანამშრომელი მოვიდა. მთხოვა: მილიციის მეორე განყოფილებაში წამოვბრძანდითო.

სამორიგეოში ერთი მილიციელი იჯდა. ცისფერად შეღებილ კედელს შლაპიანი კაცი მიყრდნობოდა. ხელში ჯოხი ეჭირა. ძირს საკუთარ ფეხებს დასცქეროდა. ვიცანი, სწორედ ის კაცია, რომელიც წინა საღამოს ჩემს გვერდით დაჯდა წულუკიძის ბაღში.

— იცნობ?— მკითხა ულვაშებიანმა მილიციელმა ამ „შლაპიან“ კაცზე.

— არა!..

— ამან თქვენზე ცრუ ამბავი გაავრცელა. ჭორით აავსო ქალაქი.

— არ ვიცნობ!..

— როგორ არ მიცნობ?.. მე ხომ ნესცევახსნაბურძავის ტრესტში ვმუშაობდი საქმეთა მმართველად.— თქვა შლაპიანმა.

მომავინდა:

— ა-ა, მაგონდება: თქვენ, მგონი, ენატანიაობისა და ჭორიკანობისათვის მოგხსნეს სამსახურიდან.

— კი ბატონო, აგრეთ. იქ სამსახურიდან მომხსნეს, აქ დამაკავეს. მეუბნებიან შენმა ენამ გიქნა ყველაფერიო. მითხარი, რა დავაშავე ასეთი?— შემომჩივლა მან.

გარეთ გამოვედი, გზაში ორი მილიციელი გამოგვყვა, თეთრ ხიდს რომ გავცილდით, მე შინ წავედი, მას კი ციხისაკენ უქნეს პირი.

იგი მობრუნდა და მკითხა:

— მაინც ისეთი რა დავაშავე?..

ამას აღბად განუმარტავენ შლაპიანს.

დ. კვირკველია



1. გერმანულ ჯარისკაცებს სსრკ-ს მიწა-წყალზე ყველანი პატივისცემით სვდებიან და გზას უჩვენებენ.



2. უხვად აწოდებენ საწვავ მასალას.



3. ქალები გულის ფანცქალით ელიან გერმანულ ჯარისკაცებს თან შეხვედრას.



4. როგორც კი საშუალება ეძლევათ, არასოდეს არ აკლებენ გერმანულ მხედრობას საჭირო მფარველობას.